საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-02/182

ქ. ბათუმი

20 ნოემბერი, 2019 წ.

ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წლის სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე", ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათ-ლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 09 ოქტომბრის N01-02/153 ბრძანების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამ-ყვანი სპეციალისტის გოჩა სურგულაძის, 2019 წლის 18 ნოემბრის N1567392 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ში 2019-2020 სასწავლო წლისათვის განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღება და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) განცხადებების (პროექტების) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - კონკურსის გამოცხადებიდან **2019 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით;**

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ პროექტების შეფასება - **2019 წლის 23 დეკემბრიდან 2020 წლის 17 იანვრის ჩათვლით;**

გ) პროექტების შეფასების შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - **2020 წლის 20 იანვრიდან 2020 წლის 22 იანვრის ჩათვლით;**

დ) გამარჯვებული პროექტების განხორციელების პერიოდი - **2020 წლის 2 თებერვლიდან არაუგვიანეს 2020 წლის 15 დეკემბრისა.**

2. სტუდენტური პროექტების რეგისტრაცია წარმოებს ელექტრონულად, სტუდენტურ პორტალზე - Portal.bsu.edu.ge-ზე. პროექტის ელექტრონულად ატვირთვა შესაძლებელია, ინდივიდუალურად, მათ შორის საინიციატივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით. პორტალზე არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში პროექტი ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან და აღარ გადაეცემა კომისიას განსახილველად, რაც წერილობით ეცნობება პროექტის ავტორს.

3. სტუდენტური პროექტის რეგისტრაციისთვის სტუდენტურ პორტალზე უნდა აიტვირთოს შემდეგი სახის დოკუმენტები:

ა) ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შედგენილი საპროექტო განაცხადი;

ბ) სარეკომენდაციო წერილი (რეკომენდაცია გაწეული უნდა იყოს პროექტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ და მასში უნდა იყოს ასახული პროექტის მნიშვნელობა შესაბამისი დარგისთვის/მიმართულებისთვის);

გ) სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);

დ) ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;

ე)საინიციატივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში პროექტზე პასუხისმგებელმა პირმა (შემდგომში ხელმძღვანელმა) აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ამ გაერთიანების ძირითადი მიზნების შესახებ და აგრეთვე ამ გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ვ)პროექტში მონაწილე (ტრენერი, ექსპერტი ან სხვა პირი) პირთა "CV"-ები და თანხმობის წერილ(ებ)ი.

4. საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული მიმართულების სტუდენტური პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს - 5000 (ხუთი ათასი) ლარს.

5. სტუდენტური პროექტის განხორციელების პერიოდი სასურველია არ აღემატებოდეს 3 თვეს. სამ თვეზე მეტი ხანგრძლივობის პროექტის გამარჯვების შემთხვევაში, სტუდენტური პროექტის განხორციელების პერიოდის ნახევარის გასვლიდან არაუგვიანეს ათი დღისა წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის მიმდინარეობის შუალედური და პროგრამული ანგარიში.

6. წინამდებარე ბრძანება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილება, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანება, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანება და „ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 09 ოქტომბრის N01-02/153 ბრძანება ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველი - კონკურსები; იურიდიული ცნობარი).

7. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**